## თემატური გეგმა გეოგრაფიაში, 9 კლასი

| **შესასწავლი თემა** | **გეოგრაფიული მდებარეობა** |
|---|---|
| **შესასწავლი მასალა** | სახელმძღვანელო, რუკა, ატლასი ,რვეული |
| **სასწავლო შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ** | მოსწავლეებმა გააანალიზონ თუ როგორ ხდებოდა საქართველოს ტერიტორიის ფორმირება, იმსჯელონ თუ სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის. სად მდებარეობს საქართველო და როგორია მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ- გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის ფაქტორები. |
| **საკვანძო კითხვები** | რომელი პოლიტიკური გაერთიანებები არსებობდა საქართველოს ტერიტორიაზე უძველს დროში? რომელი ტერიტორიები დაკარგა საქართველომ გასაბჭოების შემდეგ? ჩამოთვალეთ საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ისტორიის 5 პერიოდი. რა წვლილი მიუძღვის ვახუშტი ბაგრატიონს ქართული გეოგრაფიის განვითარებაში? ჩამოთვალეთ საქართველოს საზღვრის გატარების ვარიანტები. დაახასიათეთ საქართველოს საზღრები. რას უდრის კავკასიის ფართობი? |
| **პირველ მოგზამკვიდრი წარმოდგენები** | მოსწავლეები გაანალიზებენ საქართველოს ტერიტორიის ფორმირების ეტაპებს, იმსჯელებენ იმაზე თუ ვის მიუძღვის უდიდესი წვლილი ქართული გეოგრაფიული აზროვნების განვითარებაში, ჩამოთვლიან ვახუშტი ბატონიშვილის მიღწევებს ქართული გეოგრაფიის ისტორიაში.დაახასიათებენ საქართველოს საზღვრის გატარების ვარიანტებს ევროპასა და აზიას შორის, იმსჯელებენ საქართველოს მდებარეობის შესახებ მსოფლიოსა და კავკასიაში. ისაუბრებენ საქართველოს სიმბოლიკის შესახებ. |
| **შეფასების კრიტერიუმები** | კითხვების დასმა, დისკუსია არგუმენტირებული მსჯელობა, ატლასის და რუკის გამოყენება. |
| **შეფასების კრიტერიუმის მიღწევის ინდიკატორი** | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, |
| **კომპლექსური დავალებები** | საშინაო დავალების მიცემა, საქართველოს ფიზიკურ და კონტურულ რუკაზე მუშაობა, ინფორმაციის მოძიება. |
| **შესასწავლი თემა** | **ბუნებრივი პირობები და რესურსები** |
| **შესასწავლი მასალა** | სახელმძღვანელო, რუკა, ატლასი ,რვეული |
| **სასწავლო შედეგი, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ** | მოსწავლეებმა გაანალიზონ თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო ქვეყნის ეკონომიკაზე. დაასახელონ და აჩვენონ რუკაზე საქართველოს მნიშვნელოვანი მინერალური რესირსები. ჩამოთვალონ საქართველოს უმთავრესი გეომორფოლოგიური ერთეულები, დაასახელონ საქართველოს რელიეფის ტიპები. იმსჯელონ შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ, ჩამოთვალონ საქართველოს ჰავის ძირითადი ტიპები. შეძლონ საქართველოს შიგა წყლების დახასიათება. |
| **საკვანძო კითხვები** | რა არის მინერალური რესურსი?სად მოიპოვებენ ნავთობს საქართველოში? დაასახელეთ რკინის მადნის მოპოვების ადგილები საქართველოში. რას უდრის საქართველოს ტერიტორიის საშუალო სიმაღლე ზ.დ - დან ? რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი? დაახასიათეთ საქართველოს რელიეფის ტიპები. იმსჯელეთ |

| | |
|---|---|
| | რელიეფთან დაკავშურებული სტიქიური მოვლენების შესახებ. რა ფაქტორები მოქმედებს საქართველოს ჰავის ჩამოყალიბებაზე? |
| **მკვიდრი წარმოდგენები** | მოსწავლეები შეძლებენ საქართველოს მინერალური რესურსების ჩამოთვლას და რუკაზე ჩვენებას. იმსჯელებენ საქართველოს რელიეფწარმომქმნელ ფაქტორებზე. დაახასიათებენ საქართველოს ძირითად გეომორფოლოგიურ ერთეულებს, შეძლებენ რელიეფის ტიპების ჩამოთვლას. იმსჯელებენ შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებზე. დაასახელებენ საქართველოს წყალუხვ და უგრძეს მდინარეებს. |
| **შეფასების კრიტერიუმები** | ტექსტის წაკითხვა –გაანალიზება,მსჯელობა,რუკაზე და ატლასზე მუშაობა. |
| **შეფასების კრიტერიუმის მიღწევის ინდიკატორი** | განმავითარებელი, განმსაზღვრელი შეფასება |
| **კომპლექსური დავალებები** | საშინაო დავალების მიცემა. რუკის კითხვა, კონტურულ რუკაზე მუშაობა. ინფორმაციის მოძიება. |